# სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

**მარტი 2019**

- 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი 5.1%-ით გაიზარდა. თბილისში სასტუმროს ფასების ზრდამ 4.2% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში სასტუმროს ფასების ზრდა, შესაძლოა გარკვეულწილად ავხსნათ გაზრდილი ტურისტული ვიზიტების რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვლის თვესთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 31.9%-ით გაიზარდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტები - 32.6%-ით;

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, 1.1%-ით გაიზარდა. 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტების რიცხვი 4.3%-ით გაიზარდა;

- აღსანიშნავია, რომ 2018 წარმოადგენდა პირველ წელს, როდესაც საერთაშორისო ვიზიტორების მიერ სასტუმროში გატარებულმა ღამისთევათა წილმა გადააჭარბა მეგობრების, ნათესავების სახლში გატარებულ ღამისთევათა წილს. 2018 წელს ღამისთევათა განაწილება განთავსების საშუალებების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: სასტუმრო - 39.6%; მეგობრის, ნათესავის სახლი-26.5%-ის; საოჯახო სასტუმრო - 12.7%; ნაქირავები ბინა - 11.7%.

- თბილისში booking.com-ზე დარეგისტრირებული 3* სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი 50-150 ლარის დიაპაზონშია, 4* სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი 150-300 ლარის დიაპოზონში, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების - 0-150 ლარის დიაპაზონში.

## სასტუმროების საშუალო ფასები

2019 წლის მარტში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **125 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **227 ლარი**. აღსანიშნავია, რომ როგორც 3*, ასევე 4* სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი ფასები 2019 წლის იანვრის თვიდან მცხეთა-მთიანეთში ფიქსირდება. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მარტში **73 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მარტში **486 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 599 ლარი შეადგინა, აჭარაში - 471 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 385 ლარი, ხოლო კახეთში - 355 ლარი.




**გრაფიკი 1:** მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

2019 წლის მარტში, 3*-იან სასტუროებს შორის, თბილისში მინიმალური ფასი 48 ლარი დაფიქსირდა, მაქსიმალური - 350 ლარი. 4* სასტუმროთა შორის მინიმალური და მაქსიმალური ფასების განაწილება შემდეგნაირი იყო - 85 და 620 ლარი, 5* - შესაბამისად, 390 და 818 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროებში - 18 და 300 ლარი.

თბილისში booking.com-ზე დარეგისტრირებული 3* სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი 50-150 ლარის დიაპაზონშია, 4* სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი 150-300 ლარის დიაპოზონში, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების - 0-150 ლარის დიაპაზონში.

## სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, 5.1%-ით გაიზარდა. 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, 3.2%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 6.1%-ით.

სასტუმროს ფასების ზრდა 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, შესაძლოა გარკვეულწილად ავხსნათ გაზრდილი ტურისტული ვიზიტების რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვლის თვესთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 31.9%-ით გაიზარდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტები - 32.6%-ით[4].

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, 1.1%-ით გაიზარდა. აღნიშნული უმეტესწილად განაპირობა საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდამ. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტების რიცხვი 4.3%-ით გაიზარდა.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, 1.2%-ით გაიზარდა. ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები, 3.5%-ით.

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2019 მარ/ 2019 თებ | 2019 მარ/ 2018 მარ | 2019 მარ/ 2019 თებ | 2019 მარ/ 2018 მარ | 2019 მარ/ 2019 თებ | 2019 მარ/ 2018 მარ |
| ქვემო ქართლი | 8.0% | -5.4% | 8.5% | 2.7% | 7.7% | -15.3% |
| რაჭა | 7.7% | -4.1% | | | 7.7% | -4.1% |
| იმერეთი | 7.1% | 2.3% | 0.4% | -10.5% | 12.5% | 13.4% |
| აჭარა | 6.7% | 19.7% | 4.3% | 29.9% | 10.6% | 0.0% |
| გურია | 6.6% | 9.0% | 5.5% | -10.3% | 7.7% | 25.3% |
| შიდა ქართლი | 6.5% | -8.2% | | | 6.5% | -8.2% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6.4% | 3.9% | 0.6% | 6.5% | 8.4% | 2.6% |
| სამცხე-ჯავახეთი | 6.0% | 17.1% | -0.5% | 23.0% | 9.8% | 14.2% |
| თბილისი | 4.2% | -11.0% | 4.5% | -14.2% | 3.0% | 1.9% |
| მცხეთა-მთიანეთი | 4.1% | 11.3% | 2.7% | 11.0% | 5.4% | 11.6% |
| კახეთი | 3.1% | -0.9% | -0.6% | -4.2% | 4.3% | 0.3% |
| სულ ფასების % ცვლილება | 5.1% | 1.1% | 3.2% | 1.2% | 6.1% | 3.5% |

**ცხრილი 1**: ფასების % ცვლილება 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვლის ფასებთან შედარებით და 2018 წლის მარტის ფასებთან შედარებით

## ღამისთევათა განაწილება განთავსების საშუალებების მიხედვით

2018 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ყველაზე მეტი ღამისთევა - 39.6% სასტუმროში განხორციელდა, 26.5%-ის მიერ მეგობრის, ნათესავის სახლში, საოჯახო სასტუმროებში - 12.7%, ხოლო ნაქირავებ ბინაში - 11.7% .

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გატარებულ ჯამურ ღამისთევათა რაოდენობაში მეგობრებთან და ნათესავების სახლში გატარებული ღამისთევათა წილი 2015 წლიდან მცირდება. 2015-დან 2018 წლამდე საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საქართველოში გატარებულ ღამისთევათა რაოდენობაში ყველაზე დიდი წილი მეგობრების და ნათესავების სახლში გატარებული ღამისთევათა რაოდენობაზე მოდიოდა, 2018 წარმოადგენდა პირველ წელს, როდესაც აღნიშნულს სასტუმროში გატარებულმა ღამისთევათა წილმა გადააჭარბა[5].




**გრაფიკი 2:** ღამისთევათა განაწილება განთავსების საშუალებების მიხედვით

### ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

| | I 2017 | II 2017 | III 2017 | IV 2017 | 2017 | I 2018 | II 2018 | III 2018 | IV 2018 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 450 | 544.3 | 642.6 | 569.8 | 2206.7 | 522.9 | 642.5 | 781.9 | 734.5 | 2681.8 |
| 2 | 1378.1 | 1757 | 2969.9 | 1797.5 | 7902.5 | 1582.4 | 1979.6 | 3226.4 | 1891.1 | 8679.5 |
| 3 | 665 | 908.9 | 1629.9 | 865.7 | 4069.4 | 839.5 | 1094.2 | 1838.3 | 984.7 | 4756.8 |
| 4 | 425.7 | 629.9 | 1078.3 | 570.5 | 2704.3 | 550.7 | 810 | 1210.6 | 650.8 | 3222.1 |
| 5 | 81.4 | 109.5 | 152 | 120.7 | 463.6 | 105.9 | 126.4 | 149.9 | 142.4 | 524.7 |
| 6 | 7.1 | 25.1 | 29.7 | 10.3 | 72.2 | 25.4* | -5.4* | 36* | 16.1* | 72.3* |

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

**1** შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ბერჩევა მოხდა ეშმთხვევითი ბერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

**2** საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

**3** სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უცხირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

**4** წყარო: GNTA

**5** წყარო: GNTA

**6** * ნინასწარი მონაცემები